ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 8-21

"26" დეკემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 64-ე მუხლის ,,ა" პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების" (კოდი: 06 02 25) და „სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების" (კოდი: 06 02 03) ქვეპროგრამების განხორციელების წესი" დანართი №1;

ბ) „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების" ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 05) განხორციელების წესი" დანართი №2;

გ) „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების" ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 02) განხორციელების წესი" დანართი №3;

დ) „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების (კოდი: 06 02 22) და სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების“ ქვეპროგრამების (კოდი: 06 02 24) განხორციელების წესი” დანართი №4;

ე) „უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ (კოდი: 06 02 06 01) და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ (კოდი: 06 02 06 02) ქვეპოგრამების განხორციელების წესი“ დანართი №5;

ვ) „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში” (კოდი: 06 02 06 03) ქვეპროგრამის ფარგლებში „სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსების წესი“ დანართი №6;

ზ) „შინმოვლის თანადაფინანსების“ (კოდი: 06 02 26) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ დანართი №7;

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-130 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

დანართი №1

„სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების“ (კოდი: 06 02 25) და „სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების“ (კოდი: 06 02 03) ქვეპროგრამების განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების“ (კოდი: 06 02 25) და „სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების“ (კოდი: 06 02 03) ქვეპროგრამების განხორციელების წესი“ (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების“ (კოდი: 06 02 25) და „სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების“ (კოდი: 06 02 03) ქვეპროგრამების (შემდგომში - ქვეპროგრამები) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს.

2. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ დახმარებებზე, რომლებზედაც თანხები გამოიყოფა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების“ და „სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების“ ქვეპროგრამებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხების ფარგლებში.

3. ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (შემდგომში - ქვეპროგრამების განმახორციელებელი).

მუხლი 2. ქვეპროგრამის მოსარგებლეები და ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა

1. ამ წესის პირველი მუხლით განსაზღვრული ქვეპროგრამების მოსარგებლეები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ქალაქ თბილისში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს.

2. ქვეპროგრამის მოსარგებლე, ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მოიპოვებს უფლებას მიიღოს შემდეგი ოდენობის ფულადი დახმარება:

ა) ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 25) ფარგლებში, ყოველი ახალშობილის დაბადებისას - 500 ლარის ოდენობით, ერთჯერადი დახმარების სახით;

ბ) ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 03) ფარგლებში, მე-3 და შემდეგი ახალშობილის შეძენისას, ერთჯერადი დახმარების სახით:

ბ.ა) 800 ლარი - მე-3 ახალშობილზე;

ბ.ბ) 1000 ლარი - მე-4 ახალშობლზე;

ბ.გ) 1500 ლარი - მე-5 და შემდეგ ახალშობილზე.

მუხლი 3. ქვეპროგრამაში ჩართვა

1. ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 25) ფარგლებში, ფულადი დახმარების გაცემა ხორციელდება:

ა) ბავშვის დაბადების წლის განმავლობაში ან მომდევნო წლის 1 აპრილამდე - სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის“ საფუძველზე. ბავშვი, დაბადების თვისათვის უნდა ფიქსირდებოდეს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში“. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვა, სავალდებულო არ არის.

ბ) ბავშვის დაბადების წლის განმავლობაში ან მომდევნო წლის 10 მარტამდე წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე თუ ბავშვის მშობელი ბავშვის დაბადების თვისათვის ფიქსირდება „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 100 000 ან ნაკლები სარეიტინგო ქულით ან ქვეპროგრამით მოსარგებლე ოჯახში. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი.

2. ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 03) ფარგლებში ქვეპროგრამის მოსარგებლეებისათვის ფულადი დახმარების გაცემა ხორციელდება ბავშვის დაბადების წლის განმავლობაში ან მომდევნო წლის 10 მარტამდე წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე თუ ბავშვების მშობელი ბავშვის დაბადების თვისათვის ფიქსირდება „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 100 000 ან ნაკლები სარეიტინგო ქულით ან ქვეპროგრამით მოსარგებლე ოჯახში. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შვილების დაბადების მოწმობების ასლები (რითაც დადასტურდება ერთ-ერთი მშობელისადმი მესამე ან მომდევნო ბავშვის შეძენის ფაქტი).

3. თუ ოჯახმა ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიიღო ფულადი დახმარება, მაშინ იგი ასევე მიიღებს ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დახმარებასაც.

4. ფულადი დახმარება ირიცხება იმ პირზე (თანხის მიმღები პირი), რომელიც „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ დაფიქსირებულია, როგორც „ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი“. ასეთი პირის არარსებობის შემთხვევაში ფულადი დახმარების მიმღებად განისაზღვროს ოჯახის უხუცესი წევრი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით. ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოსარგებლის მომართვის შემთხვევაში თანხის მიმღები პირი შესაძლებელია იყოს ახალშობილის მშობელი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი. ფულადი დახმარების დარიცხვა ხორციელდება მომსახურე ბანკში, დახმარების მიმღები პირის პირად საბანკო ანგარიშზე.

5. ოჯახი, კონკრეტულ თვეში თანხის მიღების უფლებას მოიპოვებს თუ ფულადი დახმარების გადარიცხვის მომენტისათვის, ქვეპროგრამების განმახორციელებლისათვის, მომსახურე ბანკის მიერ მოწოდებულ მონაცემებში ფიქსირდება ინფორმაცია თანხის მიმღები პირის სახელზე არსებული აქტიური (გატანილი) საბანკო ბარათის შესახებ.

მუხლი 4. ანგარიშგება

1. ქვეპროგრამების განმახორციელებელი, ყოველი თვის 10 რიცხვამდე ახორციელებს ქვეპროგრამების ფარგლებში თანხის მიმღები პირების სიის ფორმირებას და აღნიშნული სიის

მომსახურე ბანკისათვის გაგზავნას საბანკო ანგარიშების გასახსნელად და მათი აქტიური (გატანილი) ბარათების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

2. ქვეპროგრამების განმახორციელებელი, მომსახურე ბანკიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ყოველი თვის 20 რიცხვამდე ადგენს თანხის მიმღები პირებისათვის დახმარების გადარიცხვის რეესტრს და წარუდგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, რომელიც წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში, მომსახურე ბანკის მეშვეობით, უზრუნველყოფს შესაბამისი თანხების ჩარიცხვას საბანკო ანგარიშებზე.

დანართი №2

„100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 05) განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 05) განხორციელების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ (კოდი: 06 02 05) ქვეპროგრამის განხორციელების პირობებსა და პროცედურებს.

2. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ დახმარებებზე, რომლებზედაც თანხები გამოიყოფა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამაში (შემდგომში - ქვეპროგრამა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხების ფარგლებში.

3. ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (შემდგომში - ქვეპროგრამის განმახორციელებელი).

მუხლი 2. ქვეპროგრამის მოსარგებლეები და ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა

1. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და მეტი ასაკის პირები, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული 100 წლის და მეტი ასაკის იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი.

2. ფულადი დახმარება განისაზღვრება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 3. ქვეპროგრამაში ჩართვა

1. ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფულადი დახმარება გაიცემა ერთჯერადად, საბიუჯეტო წლის განმავლობაში, მოსარგებლის ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი. იძულებით გადაადგილებული პირების შემთხვევაში, დამატებით წარმოდგენილი უნდა იყოს იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობის ასლი;

ბ) მოსარგებლის საბანკო რეკვიზიტები.

2. ფულადი დახმარების დარიცხვა ხორციელდება მომსახურე ბანკში, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მიმღები პირის (ბენეფიციარის) პირად საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 4. ანგარიშგება

1. ქვეპროგრამის განმახორციელებელი, უფლებამოსილების ფარგლებში, ყოველი თვის 20 რიცხვამდე ახორციელებს ამ წესით განსაზღვრული ფულადი დახმარების მიმღებთა რეესტრის მომზადებას, ამავე თვის 10 რიცხვამდე სამსახურში შემოსული განცხადებების საფუძველზე.

2. ქვეპროგრამის განმახორციელებელი, დახმარების მიმღები პირების რეესტრს წარუდგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, რომელიც წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში, მომსახურე ბანკის მეშვეობით, უზრუნველყოფს შესაბამისი თანხების ჩარიცხვას დახმარების მიმღები პირის ანგარიშზე.

დანართი №3

„სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 02) განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 02) განხორციელების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 02) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს.

2. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ დახმარებებზე, რომლებზედაც თანხები გამოიყოფა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების“ ქვეპროგრამაში (შემდგომში - ქვეპროგრამა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხების ფარგლებში.

3. ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (შემდგომში - ქვეპროგრამის განმახორციელებელი).

მუხლი 2. ქვეპროგრამის მოსარგებლეები და ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა

1. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000–ს და აღნიშნული ბაზის მიხედვით ოჯახში ფიქსირდება 3 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი.

2. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარების მიმღებია ოჯახი. ყოველ 18 წლამდე ბავშვზე, ყოველთვიურად გაიცემა ფულადი დახმარება 50 ლარის ოდენობით.

მუხლი 3. ქვეპროგრამაში ჩართვა

1. ოჯახი, კონკრეტულ თვეში თანხის მიღების უფლებას მოიპოვებს, თუ იგი აკმაყოფილებს ამ წესის მე–2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირობას სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული, დახმარების გაცემის წინა თვის მდგომარეობის ამსახველი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის“ მიხედვით და თუ ამავდროულად ფულადი დახმარების გადარიცხვის მომენტისათვის, ქვეპროგრამის განმახორციელებლისათვის, მომსახურე ბანკის მიერ მოწოდებულ მონაცემებში ფიქსირდება ინფორმაცია ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელზე არსებული აქტიური (გატანილი) საბანკო ბარათის შესახებ.

2. ქვეპროგრამით გათვალისწინებული ფულადი დახმარება ირიცხება მომსახურე ბანკის საშუალებით, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ დაფიქსირებული „ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელის“ პირად საბანკო ანგარიშზე.

მუხლის 4. ანგარიშგება

1.ქვეპროგრამის განმახორციელებელი, ყოველი თვის 10 რიცხვამდე ახორციელებს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული, დახმარების გაცემის წინა თვის მდგომარეობის ამსახველი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის“ მიხედვით, ქვეპროგრამის მოსარგებლე ოჯახების უფლებამოსილი წარმომადგენლების სიის ფორმირებას და აღნიშნული სიის მომსახურე ბანკისათვის გაგზავნას, ოჯახების უფლებამოსილი წარმომადგენლებისათვის საბანკო ანგარიშების გასახსნელად და მათი აქტიური (გატანილი) ბარათების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

2. ქვეპროგრამის განმახორციელებელი, მომსახურე ბანკიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ყოველი თვის 20 რიცხვამდე,ადგენს „ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთა“ რეესტრს.

3. ქვეპროგრამის განმახორციელებელი, დახმარების მიმღები პირების რეესტრს წარუდგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, რომელიც წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში, მომსახურე ბანკის მეშვეობით, უზრუნველყოფს შესაბამისი თანხების ჩარიცხვას „ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელის“ პირად საბანკო ანგარიშზე.

დანართი №4

სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების (კოდი: 06 02 22) და სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების“ ქვეპროგრამების (კოდი: 06 02 24) განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების (კოდი: 06 02 22) და სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების“ ქვეპროგრამების (კოდი: 06 02 24) განხორციელების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელების პირობებს და პროცედურებს:

ა) „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი: 06 02 22)“;

ბ) „სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი: 06 02 24)“.

2. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ დახმარებებზე, რომლებზედაც თანხები გამოიყოფა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების“ და „სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების“ ქვეპროგრამებში (შემდგომში - ქვეპროგრამები) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხების ფარგლებში.

3. ქვეპროგრამების განმახორციელებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (შემდგომში - ქვეპროგრამების განმახორციელებელი).

მუხლი 2. ქვეპროგრამების მოსარგებლეები და ქვეპროგრამებით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა

1. ამ წესის პირველი მუხლით განსაზღვრული ქვეპროგრამების მოსარგებლეები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ქალაქ თბილისში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს და ოჯახში ფიქსირდება:

ა) ამ წესის პირველი მუხლის, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქვეპროგრამისათვის–18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;

ბ) ამ წესის პირველი მუხლის, პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქვეპროგრამისათვის–მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირი.

2. ამ წესის პირველი მუხლით განსაზღვრული ქვეპროგრამების ფარგლებში გაიცემა შემდეგი ფულადი დახმარება:

ა) ამ წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის ფარგლებში - ჯამურად წელიწადში 800 ლარი. ფულადი დახმარება გაიცემა ორ ნაწილად, მაისში და დეკემბერში, თითოეულ თვეში 400 ლარის ოდენობით;

ბ) ამ წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის ფარგლებში - ჯამურად წელიწადში 900 ლარი. ფულადი დახმარება გაიცემა სამ ნაწილად, მაისში, აგვისტოში და დეკემბერში, თითოეულ თვეში 300 ლარის ოდენობით.

მუხლი 3. ქვეპროგრამაში ჩართვა

1. ამ წესის პირველი მუხლით განსაზღვრული ქვეპროგრამების ფარგლებში, ქვეპროგრამის მოსარგებლეებისათვის ფულადი დახმარების გაცემა ხორციელდება სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული, ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული თვეების წინა თვის მდგომარეობის ამსახველ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“ პირის რეგისტრაციის საფუძველზე. კუთვნილი თვეების ფულადი დახმარება ასევე გაიცემა წლის განმავლობაში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტატუსების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. ამ წესის მე–2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფულადი დახმარების მიმღებად განისაზღვროს პირი, რომელიც „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“ დაფიქსირებულია, როგორც „ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი“. ასეთი პირის არარსებობის შემთხვევაში ფულადი დახმარების მიმღებად განისაზღვროს ოჯახის უხუცესი წევრი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით. ბენეფიციარის მომართვის შემთხვევაში თანხის მიმღები პირი შესაძლებელია იყოს 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი.

3. ამ წესის მე–2 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფულადი დახმარება გადაირიცხება უსინათლო პირის პირად საბანკო ანგარიშზე.

4. ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დახმარება, ამავე პუნქტით განსაზღვრულ თვეებში გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ დახმარების გადარიცხვის მომენტისათვის, ქვეპროგრამების განმახორციელებლისათვის, მომსახურე ბანკის მიერ მოწოდებულ მონაცემებში ფიქსირდება ინფორმაცია დახმარების მიმღები პირის სახელზე არსებული აქტიური (გატანილი) საბანკო ბარათის შესახებ. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში დახმარება გაიცემა მომსახურე ბანკიდან შესაბამისი ინფორმაციის მიღების თვეში.

5. 2017 წლის კუთვნილი ფულადი დახმარება შესაძლებელია გაიცეს 2017 წელს მოქმედი წესის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში იმ პირებზე, რომლების განცხადება წარმოდგენილი იქნება 2017 წლის 10 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, ასევე იმ მოსარგებლეებისათვის რომლებზეც ბარათის გატანის შესახებ ინფორმაცია მომსახურე ბანკიდან მიღებული იქნება 2018 წლის 10 მარტამდე.

მუხლი 4. ანგარიშგება

1. ქვეპროგრამების განმახორციელებელი, თანხის გაცემის თვის 10 რიცხვამდე ახორციელებს ქვეპროგრამების ფარგლებში დახმარების მიმღები პირების სიის ფორმირებას და აღნიშნული სიის მომსახურე ბანკისათვის გაგზავნას საბანკო ანგარიშების გასახსნელად და მათი აქტიური (გატანილი) ბარათების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

2. ქვეპროგრამების განმახორციელებელი, მომსახურე ბანკიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ყოველი თვის 20 რიცხვამდე ადგენს თანხის მიმღები პირებისათვის დახმარების გადარიცხვის რეესტრს და წარუდგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, რომელიც წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში, მომსახურე ბანკის მეშვეობით, უზრუნველყოფს შესაბამისი თანხების ჩარიცხვას საბანკო ანგარიშებზე.

დანართი №5

„უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ (კოდი: 06 02 06 01) და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ (კოდი: 06 02 06 02) ქვეპროგრამების განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ (კოდი: 06 02 06 01) და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ (კოდი: 06 02 06 02) ქვეპროგრამების განხორციელების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „უფასო სწავლება მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (კოდი: 06 02 06 01)“ და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი: 06 02 06 02)“ ქვეპროგრამების განხორციელების პირობებსა და პროცედურებს.

2. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ დახმარებებზე, რომლებზედაც თანხები გამოიყოფა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის “უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (კოდი: 06 02 06 01)“ და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი: 06 02 06 02)“ ქვეპროგრამებში (შემდგომში - ქვეპროგრამები) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხების ფარგლებში.

3. ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (შემდგომში - ქვეპროგრამის განმახორციელებელი).

მუხლი 2. ქვეპროგრამის მოსარგებლეები და ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა

1. ამ წესის პირველი მუხლით გათვალისწინებული ქვეპროგრამების მოსარგებლეები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ქ. თბილისში რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000–ს.

2. ქვეპროგრამების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ„ქ. თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის“ (ს/ნ 204526352) და ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ (ს/ნ 404494980), აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფორმით დაფუძნებული ხელოვნების სკოლების მიერ კონკრეტულ წრეზე გაკვეთილების ჩატარება ხორციელდება მათი სასწავლო გეგმის შესაბამისად.

მუხლი 3. ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი

1. „უფასო სწავლება მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (კოდი: 06 02 06 01)“ ქვეპროგრამით, ბენეფიციარებს აუნაზღაურდებათ სწავლების ღირებულება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესა“ (ს/ნ 404494980) და ა(ა)იპ „ქ. თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში“ (ს/ნ 204526352) (შემდგომში - ბენეფიციარებისათვის მომსახურების მიმწოდებელი).

2. „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი: 06 02 06 02)“ ქვეპროგრამით, ბენეფიციარებს აუნაზღაურდებათ სწავლების ღირებულება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფორმით დაფუძნებულ ამ წესის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ ხელოვნების სკოლებში (შემდგომში - ბენეფიციარისათვის მომსახურების მიმწოდებელი).

მუხლი 4. მოსარგებლე პირების ჩართვა ქვეპროგრამაში

1. ქვეპროგრამებით გათვალისწინებულ შეღავათს მიიღებენ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული, მომსახურების გაწევის თვის წინა თვის მდგომარეობის ამსახველ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“, არაუმეტეს, 70 000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებში დაფიქსირებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები.

2. „უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (კოდი: 06 02 06 01)“ ქვეპროგრამის ფარგლებში განისაზღვროს შემდეგი ლიმიტები:

ა)ა(ა)იპ„ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“ -თვეში 1740 პირის ოდენობით;

ბ) ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“ - თვეში 291 პირის ოდენობით.

3. „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი: 06 02 06 02)“ ქვეპროგრამის ფარგლებში განისაზღვროს ლიმიტი - თვეში 2633 პირის ოდენობით, ამ წესის მე-9 მუხლის შესაბამისად.

4. ქვეპროგრამაში ჩასართავად მოსარგებლე პირი (უფლებამოსილი წარმომადგენელი) მიმართავს ბენეფიციარისათვის მომსახურების მიმწოდებელს და აცხადებს თანხმობას ბენეფიციარებისათვის მომსახურების მიმწოდებლის მიერ დადგენილი წესით.

5. მოსარგებლე პირს უფლება აქვს ერთდროულად მიიღოს ორივე ქვეპროგრამით გათვალისწინებული შეღავათი, მაგრამ თითოეული ქვეპროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთ წრეზე.

მუხლი 5. ანგარიშგება

1. თვეში ერთ მოსარგებლე პირზე (მოსწავლეზე) დაფინანსების ოდენობა შეადგენს:

ა) „უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (კოდი: 06 02 06 01)“ ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისათვის“ არაუმეტეს, 30 ლარი;

ბ) „უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (კოდი: 06 02 06 01)“ ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლისათვის”:

ბ.ა) მხატვრული კითხვა-არაუმეტეს, 25 ლარი;

ბ.ბ) საგნობრივი წრეები, მუსიკალური მიმართულება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება-არაუმეტეს, 30 ლარი;

ბ.გ) გიტარის შემსწავლელი წრე, სპორტული მიმართულება-არაუმეტეს, 40 ლარი;

ბ.დ) ქორეოგრაფიული სტუდია-არაუმეტეს, 50 ლარი.

გ) „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი: 06 02 06 02)“ ქვეპროგრამის ფარგლებში არაუმეტეს, 40 ლარი.

2. ანგარიშგებისას, თვეში გაწეული მომსახურებისათვის თანხის მისაღებად, ბენეფიციარისათვის მომსახურების მიმწოდებლის მიერ, სწავლების (მომსახურების გაწევის) თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე წარდგენილი უნდა იყოს შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტი და ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დადგენილი ფორმის ბენეფიციართა რეესტრი.

მუხლი 6. ბენეფიციარისათვის მომსახურების მიწოდების შემოწმება

1. ბენეფიციარისათვის მომსახურების მიმწოდებლის შემოწმებას პერიოდულად ახორციელებს ქვეპროგრამის განმახორციელებელი. შემოწმებისას ხდება ბენეფიციარისათვის მომსახურების მიმწოდებელთან ქვეპროგრამის განმახორციელებლის წარმომადგენლის (შემდგომში - შემმოწმებელი) ვიზიტი. შემოწმებისას ხდება შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციით მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, საჭიროებისამებრ, მშობელთან/პირის კანონიერ წარმომადგენელთან და პერსონალთან გასაუბრება.

2. შემოწმებისას, შემმოწმებლის მიერ უნდა შედგეს **შემოწმების აქტი**. შემოწმების დასრულებისას შემოწმების აქტს ხელს აწერს შემმოწმებელი და ბენეფიციარისათვის მომსახურების მიმწოდებლის წარმომადგენელი. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარისათვის მომსახურების მიმწოდებლის წარმომადგენელი უარს აცხადებს შემოწმების აქტის ხელმოწერაზე, აქტში უნდა გაკეთდეს შესაბამისი შენიშვნა.

3. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ბენეფიციარისათვის მომსახურების მიმწოდებელთან განხორციელდეს შემმოწმებლის განმეორებითი ვიზიტი.

4. თუ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ბენეფიციარისათვის მომსახურების მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ შეესაბამება შემოწმების შედეგად მიღებულ ინფორმაციას, ასეთ შემთხვევაში ანაზღაურებას არ ექვემდებარება ის თანხა, რომელიც არ დასტურდება შემოწმების შედეგების მიხედვით.

მუხლი 7. საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირება

1.ქვეპროგრამის განმახორციელებელი ახორციელებს ბენეფიციარისათვის მომსახურების მიმწოდებლის მიერ წარმოდგეილი საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებას, რაც გულისხმობს:

ა) ბენეფიციარის იდენტიფიცირებას;

ბ) შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული თანხის შედარებას ცალკეულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯის ჯამურ ოდენობასთან;

გ) წარდგენილი დოკუმენტაციის შედარებას შემოწმების შედეგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. წარმოდგენილ საანგარიშგებო დოკუმენტაციაში შეუსაბამობის აღმოჩენისას, ინსპექტირებაზე პასუხისმგებელმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნოს დოკუმენტები ბენეფიციარებისათვის მომსახურების მიმწოდებელს და მისცეს 5 სამუშაო დღე აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

მუხლი 8. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება

1. საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირების შედეგად წარმოდგენილი შემთხვევები შეიძლება კლასიფიცირდეს ორ ჯგუფად:

ა) ასანაზღაურებელი შემთხვევა;

ბ) შემთხვევა, რომელიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

2. ანაზღაურებას არ ექვემდებარება შემთხვევები, როდესაც:

ა) ბენეფიციარისათვის მომსახურების მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საანგარიშგებო დოკუმენტაციის მონაცემები არ ემთხვევა შემოწმებისას დადგენილ ფაქტებს/მონაცემებს;

ბ) პიროვნების პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემები არ ემთხვევა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებს;

გ) თუ სრულად არ ჩატარებულა ქვეპროგრამის პირობებით გათვალისწინებული სამუშაო.

3. შემთხვევების კლასიფიცირება (შემთხვევა ასანაზღაურებელია, არ ექვემდებარება ანაზღაურებას) მოხდება დოკუმენტების ინსპექტირების პროცესში. იმ შემთხვევებზე, რომლებიც ექვემდებარება ანაზღაურებას, ბენეფიციარისათვის მომსახურების მიმწოდებელსა და ქვეპროგრამის განმახორციელებელს შორის ფორმდება ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული მიღება-ჩაბარების აქტი, 2 ეგზემპლარად.

4. ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარისათვის მომსახურების მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საანგარიშგებო დოკუმენტები არქივდება საანგარიშგებო თვეების მიხედვით, ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

მუხლი 9. ბენეფიციარებისათვის მომსახურების მიმწოდებლები

N	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი	მოსწავლეთა თვიური ლიმიტი
1	„ქ. თბილისის მერიის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის N2 ხელოვნების სკოლა“ (ს/კ 202056611)	42
2	„ქ. თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის №1 სამხატვრო ხელოვნების სკოლა“ (ს/კ 211351918)	152
3	„ქ. თბილისის მერიის №21 ხელოვნების სკოლა“ (ს/კ206274841)	52
4	„ქ. თბილისის მერიის №23 ხელოვნების სკოლა“ (ს/კ206070794)	31
5	„ქ.თბილისის მერიის N24-ეხელოვნების სკოლა“ (ს/კ209468002)	42
6	„ქ. თბილისის მერიის №30 ხელოვნების სკოლა“ (ს/კ202935315)	78

7	„ქ. თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზია“ (ს/კ 211351428)	49
8	„ქ. თბილისის მერიის ალ.მაჭავარიანის სახ. N26-ე ხელოვნების სკოლა” (ს/კ209467977)	162
9	„ქ. თბილისის მერიის ა. მიზანდარის სახელობის №1 ხელოვნების სკოლა” (ს/კ 203860795)	44
10	„ქ. თბილისის მერიის ა. ნიჟარაძის სახ. N27-ეხელოვნების სკოლა” (ს/კ209467860)	151
11	„ქ. თბილისის მერიის არჩილ ჩიმაკაძის სახელობის #3 ხელოვნების სკოლა” (ს/კ206075085)	84
12	„ქ. თბილისისარამხაჩატურიანისსახელობის #10 ხელოვნებისსკოლა” (ს/კ 206075067)	65
13	„ქ.თბილისის მერიის გ.ცაბაძის სახ. #25 ხელოვნების სკოლა” (ს/კ 209467968)	57
14	„ქ. თბილისის მერიის დავით ანდღულაძის სახელობის №14 ხელოვნების სკოლა” (ს/კ 202053295)	99
15	„ქ. თბილისის მერიის დავით თორაძის სახელობის №22 ხელოვნებისსკოლა” (ს/კ 204400647)	55
16	„ქ. თბილისის მერიის ვიქტორ დოლიძის სახ. №15-ეხელოვნების სკოლა” (ს/კ 209467897)	243
17	„ქ. თბილისის მერიის ზაჰესის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის N5 ხელოვნების სკოლა” (ს/კ 236094141)	206
18	„ქ. თბილისის მერიის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის №28 ხელოვნებისსკოლა” (ს/კ 211351400)	8
19	„ქ. თბილისის მერიის ი. სუხიშვილის სახ. ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია” (ს/კ 202056899)	171
20	„ქ. თბილისის მერიის კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის №7 ხელოვნების სკოლა” (ს/კ 211347185)	29
21	„ქ. თბილისის მერიის მ. კოსტავას სახელობის №8 ხელოვნების სკოლა” (ს/კ 204911621)	39
22	„ქ. თბილისის მერიის მერი ნაკაშიძის სახელობის №17 ხელოვნების სკოლა” (ს/კ 208177284)	20
23	„ქ. თბილისის მერიის მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის №6 ხელოვნების სკოლა” (ს/კ 202374037)	81
24	„ქ. თბილისისმერიისოთართაქთაქიშვილისსახელობის №19 ხელოვნებისსკოლა” (ს/კ 208144417)	159
25	„ქ. თბილისის მერიის პ. ამირანაშვილის სახ. 18-ეხელოვნების სკოლა” (ს/კ 200037548)	48
26	„ქ.თბილისის მერიის რევაზ ლაღიძის სახ. №4 ხელოვნების სკოლა” (ს/კ 200037147)	118
27	„ქ. თბილისის მერიის ს. ინაშვილის სახელობის №12 ხელოვნების სკოლა” (ს/კ 200037236)	51
28	„ქ. თბილისის მერიის სულხან ცინცაძის სახელობის №16 ხელოვნების სკოლა” (ს/კ 204900125)	15

29	„ქ. თბილისის მერიის ჰ.გონაშვილის სახელობის #29 ხელოვნებისსკოლა'' (ს/კ 204904158)	36
30	„ხელოვნების სამხატვრო სკოლა აფხაზეთი №1'' (ს/კ 200266023)	8
31	„ხელოვნების სკოლა "აფხაზეთი N1" (ს/კ 204557381)	151
32	„ხელოვნების სკოლა აფხაზეთი N2'' (ს/კ 200266041)	87
	სულ	2 633

დანართი N6

„უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში" (კოდი: 06 02 06 03) ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში" (კოდი: 06 02 06 03) ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსების წესი" (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში" (კოდი: 06 02 06 03) ქვეპროგრამის ფარგლებში „სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსების" (შემდგომში - ქვეპროგრამა) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს.

2. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ დახმარებებზე, რომლებზედაც თანხები გამოიყოფა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი: 06 02 06 03)" ქვეპროგრამაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხების ფარგლებში.

3. ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (შემდგომში - ქვეპროგრამის განმახორციელებელი).

მუხლი 2. ქვეპროგრამის მოსარგებლეები და ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა

1. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" (შემდგომში - ბაზა) 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ქალაქ თბილისში რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის პირები (შემდგომში - მოსარგებლე).

2. მოსარგებლეებს დაუფინანსდებათ, კვალიფიციური მწვრთნელის საშუალებით, აუზზე ცურვის, მინიმუმ 45 წუთიანი ხანგრძლივობის გაკვეთილები. გაკვეთილების ერთი სრული კურსის ხანგრძლივობა შეადგენს სამ თვეს, თვეში 12 გაკვეთილს.

მუხლი 3. ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი

1. ქვეპროგრამის დაფინანსება ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი: 06 02 06 03)“ ქვეპროგრამის ასიგნებების ფარგლებში.

2. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული ფორმის ვაუჩერის მეშვეობით.

3. მომსახურების მიმწოდებელია პირი/ორგანიზაცია (შემდგომში – მიმწოდებელი), რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის მე-10 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ეთანხმება ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ვაუჩერის პირობებს და გაივლის რეგისტრაციას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსებული ქვეპროგრამის ადმინისტრირებისთვის შექმნილ ელექტრონულ მოდულში (შემდგომში - ელექტრონული მოდული).

4. ელექტრონულ მოდულში რეგისტრაციასთან ერთად მიმწოდებელი წერილობითი ფორმით უდასტურებს ქვეპროგრამის განმახორციელებელს ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

5. პირის/ორგანიზაციის მიერ ამ წესის მე-10 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების შეფასება, წარმოდგენილი ინფორმაციის შემოწმება და მიმწოდებლად ცნობა ხორციელდება ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ.

მუხლი 4. მოსარგებლე პირების ჩართვა ქვეპროგრამაში

1. ქვეპროგრამით გათვალისწინებულ შეღავათს/დაფინანსებას მიიღებენ მომსახურების გაწევის თვის წინა თვეში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ ქვეპროგრამის განმახორციელებლისათვის მიწოდებულ ბაზაში 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებში დაფიქსირებული ქალაქ თბილისში რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის პირები.

2. მომსახურების გაწევის თვის განმავლობაში სარეიტინგო ქულის ცვლილება ან ბაზაში რეგისტრაციის შეწყვეტა არ წარმოადგენს დაფინანსების შეწყვეტის საფუძველს თვის დასრულებამდე.

3. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება თვეში არაუმეტეს 700 მოსარგებლე.

4. მოსარგებლეები, მომსახურების მისაღებად, რეგისტრირდებიან ელექტრონულ მოდულში, სადაც მოცემულია, როგორც მოსარგებლის ასევე მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საიდენტიფიკაციო და სააგენტოს ბაზის მონაცემები.

5. მოსარგებლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააჩნია მიმწოდებლის თავისუფალი არჩევის საშუალება. იგი, ელექტრონული მოდულის საშუალებით, შეთავაზებულ მიმწოდებელთა სიიდან ირჩევს მისთვის სასურველ პირს/ორგანიზაციას.

6. მომლოდინეთა რეესტრში ხვდებიან მოსარგებლეები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის და ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს. რიგის ფორმირების შემთხვევაში, ვაკანტური ადგილის გამოჩენისას, მომლოდინეთა რეესტრში არსებულ მოსარგებლეთა ჩართვა ხდება რიგითობის დაცვით.

7. ვაკანტური ადგილის გამოჩენის შემთხვევაში, მომლოდინე, 5 კალენდარული დღის განმავლობაში, ელექტრონული მოდულის საშუალებით, თანხმობას აცხადებს ვაკანტური ადგილის დაკავებაზე. თუ მომლოდინეთა რეესტრში დარეგისტრირებული პირი 5

კალენდარული დღის განმავლობაში თანხმობას არ განაცხადებს ვაკანტური ადგილის დაკავების თაობაზე, მას შეეცვლება რიგითობა მომლოდინეთა რეესტრში.

8. მომლოდინეთა რეესტრში რეგისტრაცია უწყდება მოსარგებლეს, თუ იგი უარს აცხადებს ქვეპროგრამაში ჩართვაზე.

9. ამ წესის მე–2 მუხლის მე–2 პუქტით განსაზღვრული მომსახურების ხანგრძლივობა (3 თვე) შესაძლებელია გაგრძელდეს სამედიცინო დოკუმენტაციაში (ფორმა №IV-100/ა) მითითებული საჭიროების საფუძველზე, დამატებით ერთი ვადით (3 თვე). სამედიცინო დოკუმენტი წარდგენილი უნდა იქნეს მომსახურების დასრულებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. ფორმა №IV-100/ა გაცემული უნდა იყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში დოკუმენტის რეგისტრაცის თარიღამდე არაუმეტეს 3 თვით ადრე.

10. მოსარგებლისათვის დაფინანსების შეწყვეტის და ქვეპროგრამიდან გასვლის საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) სააგენტოს მიერ მოწოდებული, საანგარიშგებო თვის წინა თვის მდგომარეობით ბაზის მიხედვით ოჯახის სარეიტინგო ქულის სიდიდის შეუსაბამობა ამ წესის განსაზღვრულ პირობასთან;

ბ) საანგარიშგებო თვის პირველი რიცხვისთვის მოსარგებლის ასაკის შეუსაბამობა ამ წესით განსაზღვრულ პირობასთან;

გ) მოსარგებლის მიმწოდებელთან გამოუცხადებლობა (გაცდენა), თვეში მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული ვიზიტების 2/3-ზე მეტით. განხორციელებული ვიზიტები ექვემდებარება ანაზღაურებას (საპატიოდ ჩაითვლება მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გაცდენები, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით);

დ) მოსარგებლის ან კანონიერი წარმომადგენლის მომართვა ქვეპროგრამიდან გასვლის შესახებ.

მუხლი 5. ვაუჩერის პირობები და ანაზღაურება

1. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება არამატერიალიზებული ფორმის ვაუჩერის საშუალებით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ერთი გაკვეთილის ფასის შესაბამისად (არაუმეტეს 5,83 ლარი), გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. ერთი გაკვეთილის/ვიზიტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 5.83 ლარს. ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ ანაზღაურებას ექვემდებარება თვეში არაუმეტეს 12 გაკვეთილი.

3. მიმწოდებელს სრულად აუნაზღაურდება თვეში 12 გაკვეთილის/ვიზიტის ღირებულება ქვეპროგრამის ყველა იმ მოსარგებლისათვის, რომელსაც ის უწევს მომსახურებას, თუ ამ მოსარგებლეების არანაკლებ 80%-მა სრულად ისარგებლა თვის გრაფიკით გათვალისწინებული 12 გაკვეთილით, ხოლო ამ მოსარგებლეების დანარჩენი 20%-ის შემთხვევაში, თითოეული მოსარგებლის მიერ გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა თვეში არ აღემატება 4 გაკვეთილს.

მუხლი 6. ანგარიშგება

1. გაწეული მომსახურებისათვის თანხის მისაღებად მიმწოდებელი ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარუდგენს საანგარიშგებო დოკუმენტაციას (მოსარგებლეთა რეესტრი და ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი) საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე. საანგარიშგებო დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა იქნეს, როგორც მატერიალური ფორმით, ასევე ელექტრონული მოდულის მეშვეობით.

2. მიმწოდებელი აწარმოებს მოსარგებლეთა დასწრების ელექტრონულ აღრიცხვას, პროგრამის ადმინისტრირებისთვის შექმნილი ელექტრონული მოდულის საშუალებით.

3. საანგარიშგებო დოკუმენტაციის ფორმები მტკიცდება ქვეპროგრამის განმახორციელებელის მიერ.

მუხლი 7. მოსარგებლეებისათვის მომსახურების მიწოდების შემოწმება

1. მიმწოდებლის შემოწმებას პერიოდულად ახორციელებს ქვეპროგრამის განმახორციელებელი. შემოწმებისას ხდება მიმწოდებელთან ქვეპროგრამის განმახორციელებლის უფლებამოსილი პირის (შემდგომში - შემმოწმებელი) ვიზიტი და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციით მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, საჭიროებისამებრ, მშობელთან/პირის კანონიერ წარმომადგენელთან და მიმწოდებელთან დასაქმებულ პერსონალთან გასაუბრება.

2. თუ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ შეესაბამება შემოწმების შედეგად მიღებულ ინფორმაციას, ასეთი შემთხვევაში ანაზღაურებას არ ექვემდებარება ის თანხა, რომელიც არ დასტურდება შემოწმების შედეგების მიხედვით.

მუხლი 8. საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირება

1. მიმწოდებლის ინსპექტირებას ახორციელებს ქვეპროგრამის განმახორციელებელი. საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებისას ხდება:

ა) მოსარგებლის იდენტიფიცირება;

ბ) შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული თანხის შედარება ცალკეულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯის ჯამურ ოდენობასთან;

გ) წარდგენილი დოკუმენტაციის შედარება შემოწმების შედეგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. წარმოდგენილ საანგარიშგებო დოკუმენტაციაში შეუსაბამობის აღნოჩენისას, ინსპექტირებაზე პასუხისმგებელმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნოს დოკუმენტები მიმწოდებელს და მისცეს 5 სამუშაო დღე აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ხელახლა წარმოსადგენად.

3. საანგარიშგებო დოკუმენტებში არსებული ხარვეზების 5 სამუშაო დღეზე მეტი ხნის შემდეგ აღმოფხვრისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ხელმეორედ წარმოდგენის შემთხვევაში, დოკუმენტები განიხილება, როგორც დაგვიანებით წარმოდგენილი და ანაზღაურდება მომდევნო თვეში.

მუხლი 9. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება

1. საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირების შედეგად წარმოდგენილი შემთხვევები შეიძლება კლასიფიცირდეს ორ ჯგუფად:

ა) ასანაზღაურებელი შემთხვევა;

ბ) შემთხვევა, რომელიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას;

2. ანაზღაურებას არ ექვემდებარება შემთხვევები, როდესაც:

ა) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საანგარიშგებო დოკუმენტაციის მონაცემები არ ემთხვევა შემოწმებისას დადგენილ ფაქტებს/მონაცემებს;

ბ) პიროვნების პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემები არ ემთხვევა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ ,,სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მონაცემებს;

3. შემთხვევების კლასიფიცირება (შემთხვევა ასანაზღაურებელია, არ ექვემდებარება ანაზღაურებას) მოხდება დოკუმენტების ინსპექტირების პროცესში. იმ შემთხვევებზე, რომლებიც ექვემდებარება ანაზღაურებას, ქვეპროგრამის მიმწოდებელსა და განმახორციელებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი (დამტკიცებული ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ) 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ეძლევა მიმწოდებელს, ხოლო მეორე ეგზემპლარი რჩება ქვეპროგრამის განმახორციელებელთან.

4. ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საანგარიშგებო დოკუმენტები არქივდება საანგარიშგებო თვეების მიხედვით ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

მუხლი 10. მიმწოდებლის ქვეპროგრამაში ჩართვისთვის აუცილებელი პირობები

1. მიმწოდებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრაცია ქვეპროგრამაში ჩართვამდე არაუგვიანეს 1 წლისა და ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისის (ცურვის გაკვეთილების) მიწოდების მინიმუმ 6-თვიანი გამოცდილება;

ბ) კვალიფიციური მწვრთნელის და სერთიფიცირებული ექიმის ყოლა;

გ) ერთდროულად მინიმუმ 20 ბავშვის მომსახურებაზე გათვლილი აუზი;

დ) საშხაპეების არსებობა.

2. მიმწოდებელი ვალდებულია ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების დასადასტურებელად ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

მუხლი 11. გარდამავალი დებულება

1. 2017 წელს მიმწოდებლად რეგისტრირებულ პირს/ორგანიზაციას აღნიშნული სტატუსი ავტომატურად უგრძელდება 2018 წელს.

2. ქვეპროგრამის განმახორციელებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს პროგრამაში ჩართულ მიმწოდებელს ამ წესის მე-10 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3. ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებლად რეგიტრაციის, საკუთარი სურვილით გაუქმების შემთხვევაში, პირი/ორგანიზაცია ვალდებულია აცნობოს განმახორციელებელს აღნიშნულის თაობაზე 1 თვით ადრე. ამასთან, მიმწოდებელი ვალდებულია დაასრულოს ქვეპროგრამით აღებული ვალდებულებები, ქვეპროგრამის ფარგლებში, რეგისტრირებულ მოსარგებლეებთან მიმართებით.

დანართი №7

„შინმოვლის თანადაფინანსების“ (კოდი: 06 02 26) ქვეპროგრამის განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „შინმოვლის თანადაფინანსების“ (კოდი: 06 02 26) ქვეპროგრამის განხორციელების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „შინმოვლის თანადაფინანსების“ (კოდი 06 02 26) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს.

2. წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ დახმარებებზე, რომლებზედაც თანხები გამოიყოფა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „შინმოვლის თანადაფინანსების“ ქვეპროგრამაში (შემდგომში - ქვეპროგრამა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხების ფარგლებში.

3. ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (შემდგომში - ქვეპროგრამის განმახორციელებელი).

მუხლი 2. ქვეპროგრამის მოსარგებლეები და ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა

1. ქვეპროგრამაში ჩართვა ამ წესით დადგენილი პირობებით შეუძლიათ ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" ქ. თბილისში რეგისტრირებული 200 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრებს (შემდგომში - მოსარგებლე).

2. მოსარგებლეა პირი, რომლისთვისაც „უძლურების შეფასების ბართელის კითხვარის“ (შემდგომში-ბართელის კითხვარი) მიხედვით (დანართი №7-1) მინიჭებული ქულა (შემდგომში-ბართელის ინდექსი) არ აღემატება 95 ერთეულს.

3. მოსარგებლეები არ არიან ინკურაბელურ პაციენტთა პალიატური მზუნველობის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლეები, ასევე სახელმწიფო ან მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში სამედიცინო ან ზრუნვით დაწესებულებაში მომსახურების მიმღები პირები.

4. მოსარგებლეთა კატეგორია განისაზღვრება ბართელის ინდექსის მიხედვით:

ა) I კატეგორია: ბართელის ინდექსი ნაკლებია 70 ერთეულზე;

ბ) II კატეგორია: ბართელის ინდექსი მეტია ან ტოლია 70 ერთეულისა და ნაკლებია 80 ერთეულზე;

გ) III კატეგორია: ბართელის ინდექსი მეტია ან ტოლია 80 ერთეულისა და არ აღემატება 95 ერთეულს.

5. ქვეპროგრამით განსაზღვრულ მომსახურებას და მათი მიწოდების პირობებს წარმოადგენს:

ა) მოსარგებლის შეფასება ბართელის კითხვარის მიხედვით არაუგვიანეს 6 თვეში ერთხელ და შესაბამისი ბართელის ინდექსის მინიჭება;

ბ) მოსარგებლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მოვლის ინდივიდუალური გეგმის შედგენა;

გ) მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის' მართვის, პერსონალური მოვლის, ყოველდღიურ საქმიანობაში დახმარების, მისი და მისი გარემოცვის ფსიქოსოციალური დახმარების გზით კომპლექსური მოვლის განხორციელება. აღნიშნული ღონისძიება, ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, მოიცავს, მრავალდარგობრივი გუნდის მიერ ბინაზე მოვლის განხორციელებას, კერძოდ:

გ.ა) მოსარგებლის შეფასება - გარემოს შეფასება, საჭიროებების გამოვლენა, სოციალური მუშაკის კონსულტაცია;

გ.ბ) მოსარგებლის საექიმო და საექთო მომსახურება - ექიმისა და ექთნის ვიზიტები ქევპრგორამით მოსარგებლესთან, ფიზიკური შემოწმება, მკურნალობა, ზედამხედველობა, სასიცოცხლო ნიშნების მონიტორინგი, გეგმის მიხედვით პროცედურების ჩატარება, გარემოს მუდმივი შეფასება, მედიკამენტების მიწოდება სიმპტომებისა და გვერდითი მოქმედების შეფასებით და გეგმით განსაზღვრული ყველა სხვა მომსახურება;

გ.გ) მოსარგებლის პერსონალური მოვლა - სხეულის დაბანა, სახის მოვლა, ფრჩხილების მოვლა, მობილიზაცია, გამოყოფა, კვება და საჭიროებისამებრ სხვა აქტივობა;

გ.დ) მოსარგებლის სოციალური დახმარება - რესურსების მობილიზირება, ადვოკატირება, მედიაცია;

გ.ე) მოსარგებლის ტექნიკური დახმარება - საჭიროების შეფასება, საჭირო მასალებით უზრუნველყოფა, ბინაზე არსებული ტექნიკური პრობლემების მოგვარება (მ.შ. შესაკეთებელი სამუშაოების ჩატარება), ფიზიკური გარემოს ადაპტაცია;

გ.ვ) მოსარგებლის საყოფაცხოვრებო დახმარება - საყიდლები, ბინის დალაგება, საკვების მომზადება, ჭურჭლის და სარეცხის გარეცხვა, საექთნო და პერსონალური მოვლისათვის საჭირო მასალებით უზრუნველყოფა; საჭიროებისამებრ, სხვა აქტივობა;

გ.ზ) საჭიროების შესაბამისად დამატებითი სერვისების ორგანიზება და მიწოდება.

დ) ქვეპროგრამის ფარგლებში, ინდივიდუალურ გეგმაში უნდა განისაზღვროს და განხორციელდეს:

დ.ა) I კატეგორიის მოსარგებლისათვის თვეში არანაკლებ 13 ვიზიტი;

დ.ბ) II კატეგორიის მოსარგებლისათვის თვეში არანაკლებ 8 ვიზიტი;

დ.გ) III კატეგორიის მოსარგებლისათვის თვეში არანაკლებ 4 ვიზიტი.

6. მოსარგებლეთათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობის გადამოწმება ხორციელდება ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროცედურის განხორციელებისას.

მუხლი 3. ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი

1. ქვეპროგრამის დაფინანსება განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ქვეპროგრამის „შინმოვლის თანადაფინანსების" (კოდი: 06 02 26) ქვეპროგრამის ასიგნებების ფარგლებში.

2. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული ფორმის ვაუჩერის მეშვეობით.

3. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელს (შემდგომში – შემფასებელი ან/და მიმწოდებელი) წარმოადგენს პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები, რომლებიც 'წერილობით დაუდასტურებენ განმახორციელებელს ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს და გაივლიან რეგისტრაციას ქვეპროგრამის ადმინისტრირებისთვის შექმნილ ელექტრონულ მოდულში (შემდგომში - ელექტრონული მოდული).

4. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელს წარმოადგენს პირი/ორგანიზაცია, (შემდგომში – მიმწოდებელი), რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის მე-9 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს (დანართი№7-2), წერილობით დაუდასტურებს ქვეპროგრამის განმახორციელებელს ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს და გაივლის რეგისტრაციას ელექტრონულ მოდულში.

5. პირის/ორგანიზაციის მიერ ამ წესის მე-9 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შეფასება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმება და ქვეპროგრამის მიმწოდებლად ცნობა ხორციელდება ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ.

6. ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არაუმეტეს 900 მოსარგებლე, ამ წესის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ფასებისა და კატეგორიების შესაბამისად.

მუხლი 4. მოსარგებლე პირების ჩართვა ქვეპროგრამაში

1. ამ წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურების მისაღებად მოსარგებლე რეგისტრირდება ქვეპროგრამის ელექტრონულ მოდულში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ცხელი ხაზის საშუალებით.

2. ქვეპროგრამის განმახორციელებელი, მოსარგებლის შესახებ ინფორმაციას, ელექტონული მოდულის საშუალებით, უგზავნის შემფასებელს, რომელიც არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა ახორციელებს ქვეპროგრამით მოსარგებლის შეფასებას ამ წესის მეორე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად და ქვეპროგრამის ელექტრონულ მოდულში განათავსებს შეფასების შესაბამის ფორმას (დანართი №7-1).

3. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გამოვლენილ მოსარგებლე პირს ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიღება შეუძლია ქვეპროგრამის მიმწოდებლისგან, რომელსაც იგი ირჩევს თავისუფალი არჩევანის პრინციპით იმ პირობით, რომ მიმწოდებლის შეცვლა შეუძლია არაუმეტეს 6 თვეში ერთხელ.

4. მოსარგებლე პირი ავსებს თანხმობის ბარათს (დანართი№7-2) ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად არჩეულ მიმწოდებელზე.

5. შემფასებელი თანხმობის ბარათს დედნის სახით უგზავნის მიმწოდებელს და ასევე, ქვეპროგრამის ელექტრონულ მოდულში განათავსებს მას, მისი შევსებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

6. თანხმობის ბარათის მიღების თვის მომდევნო თვის 7 რიცხვამდე მიმწოდებლის მიერ ხორციელდება ვიზიტი მოსარგებლესთან და მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ელექტონულ მოდულში განათავსებს მოვლის ინდივიდუალურ გეგმას.

7. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად არჩეულ მიმწოდებელთან მოსარგებლე პირების რიგის არსებობის პირობებში, გაჩენილ ვაკანტურ ადგილზე მომლოდინეთა რეესტრში არსებული მოსარგებლეების ჩართვა განხორციელდება ვაკანტური ადგილის გაჩენის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან რიგითობის დაცვით.

მუხლი 5. ანგარიშგება

1. ამ წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბართელის კითხვარის შევსების ღირებულება არის 8 ლარი, ხოლო ამ წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის

„ბ-დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მომსახურება ფინანსდება მე-10 მუხლით გათვალისწინებული ღირებულების შესაბამისად.

2. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით მომსახურება ფინანსდება ამ წესის მ3-10 მუხლით გათვალისწინებული წლიური ღირებულების შესაბამისად, თვეში 1/12-ის პრინციპით.

3. ამავე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვაუჩერის ანაზღაურება ქვეპროგრამის განმახორციელებლის მხრიდან ხდება სრულად, მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდის გარეშე.

4. მიმწოდებელი ვალდებულია ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარუდგინოს საანგარიშგებო დოკუმენტაცია (მოსარგებლეთა რეესტრი და ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი) არაუგვიანეს, შესრულებული სამუშაოს თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა, როგორც წერილობით, ასევე ელექტრონული მოდულის საშუალებით.

5. საანგარიშგებო დოკუმენტაციის ფორმები მტკიცდება ქვეპროგრამის განმახორციელებელის მიერ.

მუხლი 6. მოსარგებლეებისათვის მომსახურების მიწოდების შემოწმება

1. მიმწოდებლის შემოწმებას პერიოდულად ახორციელებს განმახორციელებელი. შემოწმებისას ხდება მიმწოდებელთან ქვეპროგრამის განმახორციელებლის უფლებამოსილი პირის (შემდგომში - შემმოწმებელი) ვიზიტი და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციით მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, საჭიროებისამებრ, მშობელთან/პირის კანონიერ წარმომადგენელთან და პერსონალთან გასაუბრება.

2. თუ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ შეესაბამება შემოწმების შედეგად მიღებულ ინფორმაციას, ასეთი შემთხვევაში ანაზღაურებას არ ექვემდებარება ის თანხა, რომელიც არ დასტურდება შემოწმების შედეგების მიხედვით.

მუხლი 7. საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირება

1. მიმწოდებლის ინსპექტირებას ახორციელებს ქევპროგრამის განმახორციელებელი. საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებისას ხდება:

ა) მოსარგებლის იდენტიფიცირება;

ბ) შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული თანხის შედარება ცალკეულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯის ჯამურ ოდენობასთან;

გ) წარდგენილი დოკუმენტაციის შედარება შემოწმების შედეგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. წარმოდგენილ საანგარიშგებო დოკუმენტაციაში შეუსაბამობის აღმოჩენისას, ინსპექტირებაზე პასუხისმგებელმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნოს დოკუმენტები მიმწოდებელს და მისცეს 5 სამუშაო დღე აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ხელახლა წარმოსადგენად.

3. საანგარიშგებო დოკუმენტებში არსებული ხარვეზების 5 სამუშაო დღეზე მეტი ხნის შემდეგ აღმოფხვრისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ხელმეორედ წარმოდგენის შემთხვევაში, განიხილება, როგორც დაგვიანებით წარმოდგენილი და ანაზღაურდება მომდევნო თვეში.

მუხლი 8. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება

1. საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირების შედეგად წარმოდგენილი შემთხვევები შეიძლება კლასიფიცირდეს ორ ჯგუფად:

ა) ასანაზღაურებელი შემთხვევა;

ბ) შემთხვევა, რომელიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

2. ანაზღაურებას არ ექვემდებარება შემთხვევები, როდესაც:

ა) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საანგარიშგებო დოკუმენტაციის მონაცემები არ ემთხვევა შემოწმებისას დადგენილ ფაქტებს/მონაცემებს;

ბ) პიროვნების პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემები არ ემთხვევა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებს.

3. შემთხვევების კლასიფიცირება (შემთხვევა ასანაზღაურებელია, არ ექვემდებარება ანაზღაურებას) მოხდება დოკუმენტების ინსპექტირების პროცესში. იმ შემთხვევებზე, რომლებიც ექვემდებარება ანაზღაურებას, ქვეპროგრამის მიმწოდებელსა და განმახორციელებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი (დამტკიცებული ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ) 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ეძლევა მიმწოდებელს, ხოლო მეორე ეგზემპლარი რჩება ქვეპროგრამის განმახორციელებელთან.

4. ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საანგარიშგებო დოკუმენტები არქივდება საანგარიშგებო თვეების მიხედვით ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

მუხლი 9. დამატებითი პირობები

1. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მიმწოდებელი უნდა აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირის რეგისტრაცია ქვეპროგრამაში ჩართვამდე არაუგვიანეს 1 წლისა და ამ წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ-დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების, სულ მცირე, 6-თვიანი გამოცდილება;

ბ) მრავალდარგობრივი გუნდის ყოლა შემდეგი შემადგენლობით: ყოველ ≤100 პაციენტზე უნდა შედიოდეს არანაკლებ 1 კოორდინატორი, 1 ექიმი, 1 სოციალური მუშაკი, 2 ექთანი, 1 საყოფაცხოვრებო ასისტენტი/ექთნის თანაშემწე,და 1 ტექნიკური ასისტენტი:

ბ.ა) კოორდინატორი-ექთნის/ექიმის დიპლომის მქონე, შინმოვლის განხორციელებაში არანაკლებ 60-საათიანი გადამზადების დამადასტურებელი ადგილობრივი ან/და საერთაშორისო სერთიფიკატის, შინმოვლის განხორციელების არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების მქონე პირი;

ბ.ბ) ექთანი - ექთნის დიპლომის, შინმოვლის განხორციელებაში არანაკლებ 60-საათიანი გადამზადების დამადასტურებელი ადგილობრივი ან/და საერთაშორისო სერთიფიკატის მქონე პირი, ქვეპროგრამის ფარგლებში საექთნო/საექიმო მომსახურების მიმწოდებელი;

ბ.გ) ექიმი - ექიმის დიპლომის, ოჯახის ექიმის სერთიფიკატის, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილების მქონე, ქვეპროგრამის ფარგლებში საექთნო/საექიმო მომსახურების მიმწოდებელი პირი;

ბ.დ) სოციალური მუშაკი - სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილების მქონე, მოსარგებლის საჭიროებების შესაბამისი მომსახურების/ადვოკატირების მიმწოდებელი პირი;

ბ.ე) საყოფაცხოვრებო ასისტენტი/ექთნის თანაშემწე - შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილების მქონე პირი, ქვეპროგრამის ფარგლებში ყოველდღიურ აქტივობებში დახმარების მიმწოდებელი, პირი;

ბ.ვ) ტექნიკური ასისტენტი - ტექნიკური დახმარების, მომსახურების მიმწოდებელი, პირი.

2. მიმწოდებელი უნდა ახორციელებდეს ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მომსახურებების მიწოდების კოორდინირებას და მრავალდარგობრივი გუნდის წევრებისაგან ყველა საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებას, მათ მოწესრიგებას/აღრიცხვას;

მუხლი 10. კატეგორიები

კატეგორია	წლის ვაუჩერის ღირებულება (ლარი)
„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე I კატეგორიას მიკუთვნებული პირი	567
„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე II კატეგორიას მიკუთვნებული პირი	378
„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე III კატეგორიას მიკუთვნებული პირი	219
„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70001-დან 200001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე I კატეგორიას მიკუთვნებული პირი	284
„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70001-დან 200001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე II კატეგორიას მიკუთვნებული პირი	189
„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70001-დან 200001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე III კატეგორიას მიკუთვნებული პირი	110

მუხლი 11. გარდამავალი დებულება

1. 2017 წელს მიმწოდებლად და/ან შემფასებლად რეგისტრირებულ პირს/ორგანიზაციას აღნიშნული სტატუსი ავტომატურად უგრძელდება 2018 წელს.

2. ქვეპროგრამის განმახორციელებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს პროგრამაში ჩართულ მიმწოდებელს ამ წესის მე-9 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3. ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებლად და/ან შემფასებლად რეგიტრაციის, საკუთარი სურვილით გაუქმების შემთხვევაში, პირი/ორგანიზაცია ვალდებულია აცნობოს განმახორციელებელს აღნიშნულის თაობაზე 2 თვით ადრე. ამასთან,

იგი ვალდებულია დაასრულოს ქვეპროგრამით აღებული ვალდებულებები, ქვეპროგრამის ფარგლებში, რეგისტრირებულ მოსარგებლეებთან მიმართებით.

დანართი №7-1

ბართელის (Barthel) კითხვარი

201 .. წლის . . . - . . . . . შემფასებელი: . . . . . .

სახელი : ----------

გვარი : ----------

პირადი ნომერი :

შეფასება: • **100 ქულა** – მაქსიმუმი (ნორმა): დამოუკიდებლად ჭამს, იცვამს, დგება საწოლიდან და სკამიდან, ბანაობს, დადის (სულ მცირე, ერთ კვარტალს), ადის და ჩამოდის კიბეზე; • **75-95** – აქვს შეზღუდვები და საჭიროებს გარკვეულ დახმარებას; • **70 ქულა და ქვევით** – საჭიროებს მნიშვნელოვან ზედამხედველობასა და დახმარებას მზრუნველისგან, ან დღის წესრიგში დგება მისი გადაყვანის საკითხი სპეციალურ დაწესებულებაში.
0 ქულა – ენიჭება ქმედებას, როდესაც ვერც ერთი აღნიშნული პირობა ვერ სრულდება.

კვება –

10	დამოუკიდებელია. შეუძლია იკვებოს თავისით ლანგრიდან ან მაგიდიდან, როცა ვინმე დადებს საჭმელს მისაწვდომ ადგილას. უნდა შეძლოს საჭირო საგნების დაწყობა, საკვების დაჭრა, მარილისა და პილპილის მოყრა, სითხის დასხმა, კარაქის წასმა და ა. შ.
5	კვებისას საჭიროებს გარკვეულ დახმარებას.

გადაადგილება ინვალიდის ეტლიდან საწოლში და უკან ან საწოლში დაწოლა და ადგომა (სავარძელში დაჯდომა და ადგომა) ინვალიდის ეტლის გარეშე –

15	დამოუკიდებელია ამ ქმედების ყველა ფაზაში: შეუძლია, უსაფრთხოდ მიუახლოვდეს ლოგინს თავისი ეტლით, ჩაკეტოს მუხრუჭები, ასწიოს ფეხსადგამი, უსაფრთხოდ გადაჯდეს ლოგინზე, დაწვეს, შემდეგ წამოჯდეს ლოგინის კიდეზე, შეცვალოს ეტლის პოზიცია (თუ ეს აუცილებელია მასზე უსაფრთხოდ დასაბრუნებლად), დაბრუნდეს ეტლზე.
10	სჭირდება მინიმალური დახმარება ზოგიერთ ქმედებაში ან საჭიროებს მცირე ფიზიკურ დახმარებას გადაადგილებისთვის.
5	შეუძლია წამოჯდეს დამოუკიდებლად, მაგრამ გადაადგილებისთვის სჭირდება ფიზიკური დახმარება.

პირადი ჰიგიენა –

5	შეუძლია დაიბანოს ხელები და სახე, დაივარცხნოს თმა, გაიხეხოს კბილები. შეუძლია გამოიყენოს საპარსი, ამასთან, გამოცვალოს სამართებელი და ასევე, მოძებნოს ეს ნივთები. ქალებმა უნდა შეძლონ მაკიაჟის გაკეთება (არ იგულისხმება სტილისტური ვარცხნილობა).

ტუალეტი –

10	შეუძლია შევიდეს ტუალეტში და გამოვიდეს, შეიკრას და გაიხსნას ღილები, არ დაისველოს ტანსაცმელი, გამოიყენოს ტუალეტის ქაღალდი. ნებადართულია გამოიყენოს ხელის მოსაჭიდი ან რაიმე უძრავი საყრდენი (თუ აუცილებელია ტუალეტის ნაცვლად ღამის ქოთნის გამოყენება, უნდა შეძლოს მისი დადგმა სკამზე, შემდეგ დაცლა და გარეცხვა).
5	სჭირდება დახმარება წონასწორობის შენარჩუნებაში, ტანსაცმელთან დამოკიდებულებაში ან ტუალეტის ქაღალდის გამოყენებაში.

ბანაობა –

5	დახმარების გარეშე შეუძლია აბაზანის ან შხაპის გამოყენება, ან მთლიანი დაბანა.

სიარული –

15	შეუძლია სიარული დახმარებისა და ზედამხედველობის გარეშე. შეიძლება გამოიყენოს პროთეზი, არტაშნები, ყავარჯენი ან ჯოხი (მაგრამ არა ჩოჩიალა).
10	საჭიროებს დახმარებას ან ზედამხედველობას, მაგრამ შეუძლია გაიროს, სულ მცირე, 50 მეტრი მცირედი დახმარებით.
5	შეუძლია გაიროს მოკლე დისტანცია (<50მ) ფიზიკური დახმარებითა და ზედამხედველობით.
5	იყენებს ჩოჩიალას, თუ არ შეუძლია დამოუკიდებელი სიარული. მან უნდა შეძლოს კუთხეებთან მისვლა, მობრუნება და ჩოჩიალას მანევრირება მაგიდასთან, საწოლთან, ტუალეტში და ა. შ.; შეუძლია ჩოჩიალათი არანაკლებ 50 მეტრის გავლა ან თვითმავალი სავარძლის გამოყენება (არ შეაფასოთ ეს გრაფა, თუ პაციენტს უკვე აქვს ქულა მინიჭებული სიარულში).

კიბეზე ასვლა და ჩამოსვლა –

10	შეუძლია ავიდეს და ჩამოვიდეს კიბის საფეხურებზე უსაფრთხოდ, დახმარებისა და ზედამხედველობის გარეშე. ნებადართული და რეკომენდებულია სახელურების, ჯოხის, ყავარჯნის გამოყენება, თუ ეს საჭიროა.
5	პაციენტს სჭირდება დახმარება ან ზედამხედველობა ყველა ზემოთ ჩამოთვლილში.

ჩაცმა და გახდა –

10	შეუძლია ჩაიცვას და გაიხადოს ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, შეიკრას ღილები და ნებისმიერი სამაგრები, ფეხსაცმლის ზონრები. ეს ქმედება ასევე მოიცავს სპეციალური სამოსის ან არტაშნების ჩაცმა-გახდას, თუ ის მათ იყენებს. თუ აუცილებელია, შეიძლება გამოიყენოს ისეთი სპეციალური ტანსაცმელი, როგორიცაა აჭიმები, მოშვებული ფეხსაცმელები ან ტანსაცმელი, რომელიც წინ იკვრება.
5	საჭიროებს დახმარებას ჩაცმასა და გახდაზე, ასევე, ღილების შეკვრაზე (სულ მცირე, ნახევარი სამუშაო თვითონ უნდა შეასრულოს). ქალებში ქულების მინიჭებისას არ უნდა გავითვალისწინოთ ბიუსტჰალტერის ან სარტყლის გამოყენება, თუ ეს არ არის დანიშნული ექიმის მიერ.

კუჭის მოქმედება –

10	შეუძლია კუჭის მოქმედების კონტროლი და არ აქვს შეუკავებლობის შემთხვევები.
5	აქვს იშვიათი შეუკავებლობის შემთხვევები.

შარდვა –

10	აკონტროლებს შარდვას დღის და ღამის განმავლობაში. თუ ატარებს შარდმიმღებს, უნდა გაიკეთოს, გადაღვაროს და გაწმინდოს ის დამოუკიდებლად, უნდა იყოს მშრალი დღისა და ღამის განმავლობაში.
5	აქვს იშვიათი შეუკავებლობის შემთხვევები, ან არ შეუძლია დაელოდოს ღამის ქოთანს, ან ვერ ასწრებს ტუალეტამდე, ან სჭირდება დახმარება შარდმიმღების მოსავლელად.

ქულათა ჯამი	

შენიშვნა: . . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

შემფასებლის ხელმოწერა: ----------

დანართი №7-2

„შინმოვლის თანადაფინანსების“ ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებელ ორგანიზაციაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის

თანხმობის ბარათის ფორმა №

(მიმწოდებლის დასახელება)

მოსარგებლე:

სახელი : ----------

გვარი : ----------

პირადი ნომერი :

ფაქტობრივი მისამართი:	იურიდიული მისამართი:
მუნიციპალიტეტი: ----------	მუნიციპალიტეტი: ----------
ქალაქი : ----------	ქალაქი : ----------
რაიონი: ----------	რაიონი: ----------
მისამართი: ---------- ----------	მისამართი: ---------- ----------

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: ---------- ------

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: ---------- -----

მოსარგებლის წარმომადგენელი:

სახელი : ----------

გვარი : ----------

პირადი ნომერი : | | | | | | | | | | | |

მოსარგებლე, ან მისი წარმომადგენელი აცხადებს თანხმობას დარეგისტრირდეს აღნიშნულ მიმწოდებელთან.

წარმომადგენლის (გაუსვით ხაზი- შვილი, და, ძმა, ბებია, ბაბუა, დედა, მამა, მეზობელი, ნათესავი, სხვა)

სახელი: ---------- გვარი: ----------

პირადი ნომერი: | | | | | | | | | | | |

ხელმოწერა: ---------- ბარათის შევსების